

შპს „გურმანი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „გურმანი“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2024	2023
ამონაგები	შენ.#1	5 020 188	5 562 082
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(2 857 809)	(2 532 795)
საერთო მოგება		2 162 379	2 029 287
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ.#4	(630 305)	(557 584)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(1 145 626)	(958 511)
საოპერაციო მოგება		386 448	513 192
არასაოპერაციო შემოსავლები		83 827	5 075
არასაოპერაციო ხარჯები	შენ.#7	(301 884)	(102 682)
მოგება დაბეგვრამდე		168 391	415 585
მოგების გადასახადის ხარჯი		(13 375)	-
მიმდინარე წლის მოგება		155 016	415 585
გაუნაწილებელი მოგება წლის		479	(415 106)
დასაწყისში			
ღივიდენდები		(75 789)	-
კორექტირება		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#9	79 706	479

შპს „გურმანი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2024	2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#10	55 762	58 157
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#11	51 252	14 982
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#12	209 800	267 395
სხვა მიმდინარე აქტივები		119 935	8 270
		436 749	348 804
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1 851 923	1 605 974
	შენ.#13	1 851 923	1 605 974
სულ აქტივები		2 288 672	1 954 778
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#14	184 410	171 782
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#15	-	-
		184 410	171 782
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	შენ. #16	1 883 496	1 782 517
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 883 496	1 782 517
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		141 060	-
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#17	79 706	479
სულ საკუთარი კაპიტალი		220 766	479
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2 288 672	1 954 778

შპს „გურმანი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5 003 457	5 459 429
გაწეული ხარჯები	(5 137 373)	(5 690 072)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	131 521	117 727
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(2 395)	(112 916)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო		
პერიოდის დასაწყისისათვის	58 157	171 073
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო		
პერიოდის ბოლოსათვის	შენ. #18 55 762	58 157

შპს „გურმანი“-ში ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გურმანი“ (ს/ნ 212196989) სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე ქ.ქუთაისი, წერეთლის გამზირი #163/165, დაფუძნებულია 2001 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ხორც-პროდუქტების, გაყინული ნახევარფაბრიკატების, სალათების/ფხალეულობების, ცომეულობების და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება - რეალიზაციას, კომპანიის დამატებით გააჩნია რამოდენიმე მაღაზია. კომპანიის დამფუძნებელია:

- ჯელინი გოქაძე - 33.33 % - საქართველოს მოქალაქე
- იროდი სახოკია - 33.33 % - საქართველოს მოქალაქე
- ფატმან გრიგოლავა - 33.34 % - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 108 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან

დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი,თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 8-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12
2. კომპიუტერული ტექნიკა 10
3. მანქანა დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა 8-10 წელი
4. ავეჯი და სხვა 8-10 წელი
5. შენობები 80-100 წელი

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმომობილო ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2024	2023
1	პროდუქციის გაყიდვა	5 020 188	5 562 082
	სულ ამონაგები:	5 020 188	5 562 082

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 5020188 ლარს.სულ 2024 წლის ამონაგებმა შეადგინა 5020188 ლარი.(შენიშვნა #1)

#	დასახელება	2024	2023
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	267 395	331 334
2	მარაგების შესყიდვა	3 065 896	3 468 856
3	გადამუშავების დანახარჯი	3 123 491	3 532 795
	საბოლოო მარაგები	209 800	267 395

საწყისი მარაგები 267395 ლარი მოიცავს, როგორც ძირითადი პროდუქციის ნაშთს, ასევე სხვა დამხმარე მასალებს. შესყიდული მარაგები ძირითად პროდუქციაზე არის 3065896 ლარი, გადამუშავების დანახარჯი, ანუ თვითღირებულება ძირითად პროდუქციაზე არის 2857809 ლარი, ხოლო 265682 ლარი სხვა მასალებზე და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის პროდუქციის მარაგების ნაშთმა შეადგინა 209800 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2024	2023
1	სულ ამონაგები	5 020 188	5 562 082
2	პროდუქციის თვითღირებულება	(2 857 809)	(3 532 795)
	საერთო მოგება	2 162 379	2 029 287

სულ ამონაგებმა შეადგინა 5020188 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 2857809 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 2162379 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2024	2023
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	297 861	170 428
2	საპენსიო დანარიცხი	3 749	3 107
3	საკომუნიკაციო	5 132	11 321
4	საკონსულტაციო	20 626	13 848
5	კომუნალური	219 065	192 630
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	12 333	10 156
7	ბანკის მომსახურება და ტერმინალები	10 185	20 141
8	საკანცელარიო საოფისე	42 473	
9	სხვა მომსახურება	15 320	94 376
10	სხვა ხარჯი	3 561	41 577
	სულ ადმინისტრაციული ხარჯი	630 305	557 584

მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შეადგინა 630305 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2024	2023
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	785 768	807 523
2	საპენსიო დანარიცხი	7 083	6 551
3	საწვავ-საცხები/ნაწილები-შეკეთება	15 409	19 324
4	საიჯარო ქირა	93 438	60 075
5	ცვეთა და ამორტიზაცია	239 169	65 037
6	სხვა საწარმო	4 759	-
	სულ საოპერაციო ხარჯი	1 145 626	958 511

მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 1145626 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2024	2023
1	სესხის აფასებიდან შემოსავალი	-	5 075
2	სესხის თანადაფინანსებიდან შემოსავალი	83 827	-
	მთლიანი არასაოპერაციო შემოსავალი	83 827	5 075

სესხის თანადაფინანსებიდან შემოსავალმა შეადგინა 83827 ლარი. (შენიშვნა. #6)

#	დასახელება	2024	2023
1	საპროცენტო	(233 402)	(102 682)
2	სესხის გადაფასების	(282)	-
3	ჯარიმები და საურავები	(68 200)	-
	მთლიანი არასაოპერაციო ხარჯი	(301 884)	(102 682)

მთლიანმა არასაოპერაციო ხარჯებმა 2024 წლისათვის შეადგინა 301884 ლარი. (შენიშვნა #7)

#	დასახელება	2024	2023
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	168 391	415 585
2	მოგების გადასახადი	(13 375)	-
3	მოგება/(ზარალი)	155 016	415 585
	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	155 016	415 585

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 155016 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2024 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #8)

#	დასახელება	2024	2023
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	479	(415 106)
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	155 016	415 585
3	კაპიტალი	141 060	-
5	დივიდენდების გაცემა	(75 789)	
	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	220 766	479

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო მოგება 479 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 155016 ლარით, ასევე კაპიტალის გაზრდით 141060 ლარით, შემცირდა დივიდენდის ხარჯზე 75789 ლარით და 2024 წლის ბოლოსათვის შეადგინა 220766 ლარი.(შენიშვნა #9)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2024	2023
1	ფული სალაროში ლარში	39 081	2 100
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	16 681	40 992
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	-	15 065
	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	55 762	58 157

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, საღარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2024 წელს ხორციელდებოდა საბანკო ტრანზაქციები ორივე ვალუტაში მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 58157 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 55762 ლარი. (შენიშვნა #10)

სავაჭრო მოთხოვნები 2024 წლის დასაწყისისთვის იყო 14982 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად და დარჩა მისაღები 51252 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #11)

მარაგების და მზა პროდუქციის ნაშთები განხილულია. (შენიშვნა #12)

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია მიწით, დაუმთავრებელი მშენებლობით, მანქანა დანადგარებით, ოფისის აღჭურვილობით, ავეჯით და სატრანსპორტო საშუალებით. სულ ძირითად საშუალებებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 1612914 ლარი, 2024 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 1851923 ლარი.(შენიშვნა #13)

სავაჭრო ვალდებულებები 2024 წლის დასაწყისში იყო 171782 ლარი, ნამთმა წლის ბოლოსათვის კი შეადგინა 184410 ლარი.(შენიშვნა #14)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ 2024 წლის დასაწყისში ნაშთი არ იყო და წლის ბოლოსათვის კი ნაშთი დარჩა ზედმეტობაში, რომელიც ასახულია სხვა აქტივებში. (შენიშვნა #15)

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილი არის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებით. 2024 წლის საწყისი ნაშთი იყო 1782517 ლარი, წლის ბოლოსათვის შეადგინა 1883496 ლარი. (შენიშვნა #16)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო მოგება 479 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 155016 ლარი, გაიზარდა კაპიტალის ხარჯზე 141060 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 75789 ლარით და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 220766 ლარი. (შენიშვნა #17)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2024	2023
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(133 916)	(230 643)
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	131 521	117 727
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(2 395)	(112 916)
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	58 157	171 073
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	55 762	58 157

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 58157 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის კლება 133916 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან ზრდა 131521 ლარი, შედეგად წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 2395 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 55762 ლარი. (შენიშვნა #18)